

საქართველოს კანონი

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შექმნას ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის, ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის და სასმელი წყლით მომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძველი;

გ) ხელი შეუწყოს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების დარგების რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით“;

2. მე-2 მუხლის:

ა) „კ1“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ1) მომხმარებელი – პირდაპირი მომხმარებელი ან საცალო მომხმარებელი, აგრეთვე პირი რომელიც წყალმომარაგების სისტემიდან მოიხმარს სასმელ წყალს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის“;

ბ) „კ2“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ2“ მიწოდებისა და მოხმარების წესები“ „ელექტროენერგის (ხიმლაურის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“ და „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები“;

გ) კანონს „კ19“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ20“ ქვეპუნქტი:

„კ20) სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები – დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით სასმელი წყლის ყიდვის, გაყიდვის, მიწოდებისა და მოხმარების დროს“.

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტისა და მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების და ხიმძლავრის სასისტემო რეზერვის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და მოხმარების ტარიფების დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგაზგასამართ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ტარიფებისა, ამ კანონის, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.“

5. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია ვალდებულია თავის სხდომებზე შესაბამის მხარეებს, მათ შორის ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სახმელი წყლის მომხმარებლებს, მისცეს თავიანთი ინტერესების დაუბრკოლებლად წარმოდგენის შესაძლებლობა“.

6. 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე, საქართველოს მთავრობას, სისტემის კომერციული ოპერატორსა და შესაბამის პირს შორის შეთანხმების შემთხვევაში, სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია შესაბამის პირთან გააფორმოს პირდაპირი ხელშეკრულება ახლადაშენებული ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის ნაყიდობის შესახებ, იმ პირობებით რომლებზედაც შეთანხმდნენ საქართველოს მთავრობა, სისტემის კომერციული ოპერატორი და შესაბამისი პირი. ასეთ შემთხვევაში, თუ ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალი ელექტროსადგურების მიმართ მიღებულია გადაწყვეტილება დერეგულირების თაობაზე, შესასყიდი ელექტროენერჯის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობას, სისტემის კომერციული ოპერატორსა და შესაბამის პირს შორის გაფორმებული შეთანხმებით.“

7. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. სისტემის კომერციული ოპერატორის, ლიცენზიატის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი. ინფორმაციის მომზადება

1. ლიცენზიატი ვალდებულია დაიცვას ლიცენზიაში მითითებული მოთხოვნები. კომისიისა და სამინისტროს სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სისტემის კომერციული ოპერატორის, ლიცენზიატის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლისათვის. ასევე, კომისიის სამართლებრივი აქტები სავალდებულოა წყალმომარაგების სექტორში არსებული მიმწოდებლებისა და მომხმარებლებისათვის.

2. სისტემის კომერციული ოპერატორი, ლიცენზიატი, მიმწოდებელი, იმპორტიორი და ექსპორტიორი ვალდებული არიან შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმედონ მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

3. სისტემის კომერციული ოპერატორი, იმპორტიორი, ექსპორტიორი, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და ლიცენზიანტი ვალდებული არიან

სამინისტროს, ხოლო სისტემის კომერციული ოპერატორი, იმპორტიორი, ექსპორტიორი, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, სასმელი წყლის მიმწოდებელი და ლიცენზიატი ვადადებული არიან კომისიას წარუდგინონ, და ასევე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) გასული წლის საქმიანობის ანგარიში;
- ბ) მომავალი წლის სამუშაო გეგმა;
- გ) სხვა ინფორმაცია, რომელსაც კომისია ან სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

8. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29. დავები

სისტემის კომერციული ოპერატორი, ლიცენზიატები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილნი არიან კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერჯით, ბუნებრივი გაზითა და სასმელი წყლის მიწოდების სფეროში სადავო საკითხის განხილვაზე. თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება“.

9. 39-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

10. კანონს 39-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 39¹-ე მუხლი:

„მუხლი 39¹. სასმელი წყლის მიმწოდებელი სასმელი წყლის მიმწოდებელი ვადადებულია:

- ა) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ბ) განახორციელოს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია, სასმელი წყლის მიწოდება და წყალარინება;
- გ) წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის მიწოდება;
- დ) უზრუნველყოს სასმელი წყლის ხარისხის მუდმივი კონტროლი;
- ე) უზრუნველყოს წყლის ობიექტების სათანადოდ დაცვა და არ დაუშვას გარეშე პირების მიერ წყალმომარაგების სისტემაზე რაიმე სახის ზემოქმედება ან/და სასმელი წყლის დაბინძურება;
- ვ) დაამუშაოს განსაკუთრებული ღონისძიებათა გეგმები საგანგებო მდგომარეობაში ასამოქმედებლად, ასევე აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკებები და შეთანხმებები სხვა პირებთან ასეთ შემთხვევებში სასმელი წყლის მიწოდების თაობაზე;
- ზ) საგანგებო პერიოდებში უზრუნველყოს სასმელი წყლის გამოყოფილი ღირებულების, დადგენილი რეჟიმების დაცვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების უპირატესი მომარაგება, მათ მიერ წყალმომარაგების საფასურის გადახდის პირობით;
- თ) უზრუნველყოს საზოგადოებისათვის შემდეგი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:
 - თ.ა. დამტკიცებული ტარიფები;
 - თ.ბ. მომსახურების დამტკიცებული პირობები.
- ი) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინფესტიციო პროგრამა;

კ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური.“

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას 2008 წლის 1 სექტემბრამდე მიიღოს სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი